კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

დავით ფეიქრიშვილი

ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავების მექანიზმები სამხრეთ კავკასიის რეგიონის აქტორების მაგალითზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი, ვახტანგ მაისაია

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თბილისი, 0141, საქართველო

2023

სამეცნიერო ნაშრომი შესრულებულია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ვახტანგ მაისაია

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ოფიციალური რეცენზენტები:

1. **ჰენრი კუპრაშვილი** - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი.

2. **ალიკა გუჩუა** - პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, კსუ-ის ასოცირებული პროფესორი, კსუ-ის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი.

დისერტაციის დაცვა შედგება 2023 წლის 1 მაისს, 15:00 საათზე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 0141, თბილისი, ჩარგლის ქუჩა N 73, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, ნიკო ნიკოლაძის სახელობის საკონფერენციო დარბაზი, აუდიტორია N 305.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო საბჭოს მდივანი:

პეტრე მამრაძე

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

საკითხის წინაპირობა თემის აქტუალობა

ჩვენ გარშემო სამყარო მუდმივად იცვლება. ცივი ომის დასრულების შემდეგ მსოფლიო გლობალიზაციამ მოიცვა, რასაც პოსტსაბჭოთა სივრცის გარკვეულ არეალში, დემოკრატიული პროცესების განვითარება მოჰყვა თან. ცხადია, შეიქმნა მრავალმხრივი ინსტიტუტები და საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც საერთაშორისო ასპარეზზე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. ამდენად, დღევანდელი მსოფლიო დგას ახალი საფრთხეებისა და გამოწვევების წინაშე, რომელიც XX საუკუნეში ნაკლებად არსებობდა - გლობალური ტერორიზმი, ტრანსნაციონალური დანაშაულები, რეგიონული და შეიარაღებული კონფლიქტები, სეპარატისტული ტენდენციების გაძლიერება და ა.შ.

აქედან გამომდინარე, ქვეყნები ყოველთვის მზად უნდა იყვნენ თავიანთი სტრატეგიებისა და დოქტრინების ადაპტირებისთვის, რათა შესაძლებელი იყოს ახალი საფრთხეების პრევენცია. საინტერესოა, რომ ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილია სათანადო და საფუძვლიანი კონტექსტური ანალიზი, რომელიც, როგორც წესი, უსაფრთხოების გარემოზე დაყრდნობით, ქმნის უსაფრთხოების უამრავ შესაძლებლობას. ეს ნიშნავს, რომ ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის ზოგადმა ანალიზმა შეიძლება დაგვანახოს, თუ როგორ აღიქვამს ქვეყანა მის გარშემო მიმდინარე მოვლენებს.

აღსანიშნავია, რომ სიტყვა უსაფრთხოება პირველად გვხვდება ძველ რომში და სიტყვა-სიტყვით ითარგმნება როგორც „შფოთვის გარეშე“. ეს ტერმინი მოგვიანებით, შუა საუკუნეების ხანაში, გამოყენებულ იქნა ეკონომიკაში და მხოლოდ XVIII საუკუნიდან გამოიყენება ის ლიბერალური ფილოსოფოსების იდეებში იმ ფორმით, როგორც ეს დღესდღეობით გვესმის.

თანამედროვეობაში, უსაფრთხოება მრავალ სექტორზე ახდენს გავლენას. ამ დარგის კვლევების მიხედვით, შესაძლოა გამოვყოთ ხუთი

ძირითადი სექტორი, რომელთა მეშვეობითაც უსაფრთხოებამ შეიძლება გავლენა იქონიოს მოსახლეობაზე, ეს სექტორებია: სამხედრო, ეკონომიკური, პოლიტიკური, საზოგადოებრივი და გარემოსდაცვითი საკითხები. ნათელია, რომ უსაფრთხოებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს და ყოველდღიურად მოქმედებს ჩვენს ცხოვრებაზე.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეროვნული უსაფრთხოების შესახებ დისკუსია აქტუალობას მუდმივად ინარჩუნებს. ამას, როგორც ჩვენი რეგიონის წინაშე არსებული გამოწვევები და რთული უსაფრთხოების გარემო, ასევე ამ სფეროში მაკოორდინირებელი და პოლიტიკის დაგეგმვაზე პასუხისმგებელი უწყებების გარშემო ბოლო წლებში განვითარებული მოვლენებიც განაპირობებს. აქვე საინტერესო და აღსანიშნია ის აზრი, რომ უსაფრთხოების სისტემის საზღვრების დადგენისთვის აუცილებელია განისაზღვროს მისი ფუნქციები, რისთვისაც უსაფრთხოება ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს. პირველ ნაწილში მოიაზრება მოქალაქეებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების დაცვა იმ ფიზიკური საფრთხეების ყველა ფორმისგან, რომლის წინაშეც ვდგავართ. ხოლო მეორე ნაწილში გადაწყვეტილებების მიღება და ადმინისტრირება მოიაზრება, თუმცა ეს შესაძლოა არ იყოს საკმარისი პოტენციური საფრთხეების თავიდან არიდებისთვის. შეიძლება იმის თქმაც, რომ მთავარ პრობლემას ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული პროცესები და ამასთანვე, იმ საფრთხეების ცვალებადობის სიხშირე წარმოადგენს, რომელთა წინაშეც საზოგადოება დგას.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, დღეს უსაფრთხოების პოლიტიკა ახალ გამოწვევებს ებრძვის - იქნება ეს ორგანიზებული დანაშაული, ტრეფიკინგი, ნარკობიზნესი, ტერორიზმი თუ ამ ყოველივეთი დაკავებული არასახელმწიფოებრივი აქტორები. აღნიშნული სერიოზულ პრობლემას უქმნის და დიდ ზიანს აყენებს სახელმწიფოს უსაფრთხოებას, ვინაიდან, ამ ყოველივეს შედეგად სახელმწიფო სუსტდება და დომინანტი კორუფცია ხდება.

აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ეფუძნება ინტერესებისა და ღირებულებების, ასევე საშინაო და საგარეო საფრთხეებისა და გამოწვევების ანალიზს, რაც ზემოხსენებული **თემის აქტუალობას** განაპირობებს.

თემის აქტუალობას განსაზღვრავს ისიც, რომ დღევანდელობაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ ბევრი გამოწვევაა, რომელთა პრობლემურობის სიმწვავესთან დაკავშირებით მსჯელობა არ ცხრება. საკითხი ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია და შეიძლება ითქვას, დაუშვებელია დოკუმენტებში, რომელიც აღნიშნულს ეხება, შეცდომებისა და ხარვეზების არსებობა, მითუმეტეს არ უნდა დავუშვათ შეცდომები პრაქტიკულ დონეზე და განხორციელების პროცესში. აქედან გამომდინარე, აუცილებელი და მნიშვნელოვანია აღნიშნული თემის სიღრმისეულად შესწავლა და არსებულ საკითხთან დაკავშირებით დასკვნების გაკეთება - ასევე, უკვე მიღებული დასკვნების გამოკვლევა; რელევანტური ლიტერატურისა და არსებული ინფორმაციის გადახედვა; უკვე შექმნილი მასალების კრიტიკის საფუძველზე, განახლებული დასკვნების გასაკეთებლად, ახალი გამოწვევებისა და პრობლემების გამოკვეთა.

საკვლევი პრობლემის ჩამოყალიბება

როგორც ზემოთ აღვნიშნე, უსაფრთხოების საკითხები თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო აქტუალური ხდება. ევროპული ინტეგრაციის გზაზე სამხრეთ კავკასიის რეგიონის აქტორებს - აზერბაიჯანს, საქართველოსა და სომხეთს კარგად აქვთ გასააზრებელი მათი ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ძლიერი და სუსტი მხარეები. შესაბამისად, კვლევა სახელწოდებით: „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავების მექანიზმები სამხრეთ კავკასიის რეგიონის აქტორების მაგალითზე“, უდავოდ იმსახურებს საზოგადოების ინტერესს.

ამასთან, კვლევის საფუძველზე შესაძლებლობა გვაქვს სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნების: საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი - მაგალითზე უსაფრთხოების პოლიტიკის შესწავლის საფუძველზე, უკეთ შევაფასოთ ის საფრთხეები და გამოწვევები, რასაც ამ მიმართულებით შეიძლება წააწყდნენ სამხრეთ კავკასიის რეგიონის აქტორები საერთაშორისო ასპარეზზე.

საკვლევი თემის ძირითადი მიზნები და ამოცანები:

კვლევის მიზანია სამხრეთ კავკასიის რეგიონის აქტორების ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიათა შედარება. რისთვისაც გაკეთდა ზოგადი და კონკრეტული ანალიზი. ზოგადი ანალიზი მიმართული იყო კონტექსტური ანალიზისკენ, რათა გამოკვლეულიყო რომელ თეორიულ მიდგომას ემყარება იგი. კონკრეტული ანალიზი კი მოიცავდა უსაფრთხოების საკითხთან დაკავშირებულ საფრთხეებს. სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნების შედარების გზით კი, ვიკვლიე მათ შორის არსებული მსგავსება-განსხვავებები; თუ რომელი თეორიული მიდგომა იყო ყველაზე მეტად გამორჩეული.

კვლევის ამოცანები:

- ეროვნული უსაფრთხოების არსთა რაობის გამოყოფა და უსაფრთხოების მოდელების მატრიცის შესწავლა;
- შესწავლილ იქნას თუ რა გავლენას ახდენენ სამხრეთ კავკასიის რეგიონის აქტორები ეროვნული უსაფრთხოების პირობების დამკვიდრებაზე;

- აღნიშნულ იქნას, თუ რამდენად განსაზღვრავს სამხედრო ბალანსის პირობები სამხრეთ კავკასიის რეგიონის ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის მექანიზმების შემუშავებას;
- შესწავლილ იქნას საერთაშორისო საზოგადოების როლი და მიდგომები სამხრეთ კავკასიის რეგიონში უსაფრთხოების სტაბილური პირობების განსასაზღვრად;
- რეგიონულ-გლობალური გეოპოლიტიკური ბალანსის განსაზღვრა, რეგიონული უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებისადმი.

ნაშრომის ძირითადი საკვლევი კითხვები

კვლევის ფარგლებში შემუშავებულ იქნა შემდეგი კითხვები:

- რა მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულება არსებობს ეროვნული უსაფრთხოების არსსა და უსაფრთხოების მოდელების მატრიცებს შორის?
- რა გავლენას ახდენს რეგიონში არსებული სამხედრო ბალანსის პირობები სამხრეთ კავკასიის რეგიონის (ადგილობრივი) აქტორების ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებაზე?
- რა როლი აქვს საერთაშორისო საზოგადოებას სამხრეთ კავკასიის რეგიონში უსაფრთხოების სტაბილური პირობების განსაზღვრაში?
- სამხრეთ კავკასიის რეგიონის აქტორები რამდენად უწყობენ ხელს რეგიონული უსაფრთხოების პირობების სტაბილურობას?

ნაშრომის ჰიპოთეზა

საკითხის კვლევის დაწყების შემდეგ, საკვლევი კითხვების დასმისა და კვლევის მეთოდების გამოყენების შედეგად, გამოიკვეთა კვლევის შემდეგი ჰიპოთეზები:

- სამხრეთ კავკასიის რეგიონის აქტორები ურთიერთდამოკიდებულნი არიან ეროვნული უსაფრთხოების პირობების შემუშავების საკითხში;
- სამხედრო ბალანსის პირობები განსაზღვრავს სამხრეთ კავკასიის რეგიონში ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის მექანიზმების შემუშავებას;
- რეგიონულ-გლობალური გეოპოლიტიკური ბალანსი რეგიონული უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბების პირდაპირპროპორციულია.

კვლევის საგანი და ობიექტი

კვლევის საგანი: სამხრეთ კავკასიის რეგიონის უსაფრთხოება;

კვლევის ობიექტი: სამხრეთ კავკასიის რეგიონის აქტორები და მათი ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

ნათელია კვლევის საჭიროება, რომელიც **სამეცნიერო სიახლეს** წარმოადგენს, ვინაიდან იგი არის ერთ-ერთი პირველი მცდელობა მეცნიერულად დაასაბუთოს და ემპირიულად შეისწავლოს სამხრეთ კავკასიის რეგიონში ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა, საფრთხეები და გამოწვევები. აქედან გამომდინარე, კვლევის სიახლეს წარმოადგენს შემდეგი:

1. კვლევის ფარგლებში განხილულ იქნა და შედარდა კავკასიის რეგიონის ძირითად აქტორთა (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) სტრატეგიული დოკუმენტები; გამოიკვეთა ძირითადი ასპექტები, ძლიერი და სუსტი მხარეები და გაკეთდა აღნიშნული დოკუმენტების სტრატეგიული ანალიზი;

2. ნაშრომში გაანალიზებულ იქნა ეროვნული უსაფრთხოების თეორიული ჩარჩო პრაქტიკული გამოყენების კუთხით, სამხრეთ კავკასიის რეგიონული აქტორების უსაფრთხოების მაგალითზე;

3. აღნიშნული კვლევა პირველ სამეცნიერო ნაშრომს წარმოადგენს, რომელშიც გამოკვეთილია სამხრეთ კავკასიის რეგიონის სახელმწიფოების ეროვნული უსაფრთხოების გარემო და ეროვნული უსაფრთხოების არსთა კლასიფიკაცია, რაც კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას სძენს ნაშრომს;

4. ასევე წარმოჩენილია ეროვნული უსაფრთხოების ჩიხის რაობა და მისი პრაქტიკული კუთხით გამოყენება;

5. სიღრმისეულად არის გამოკვეთილი და გაანალიზებული სამხრეთ კავკასიის რეგიონში სტაბილურობისა და მშვიდობის მიღწევის მიდგომები რეგიონული აქტორების ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ფორმატში;

6. კვლევაში კარგად არის წარმოჩენილი რეგიონის აქტორების სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპები და ახსნილია მათი სახელმწიფოებრიობის თავისებურებების სპეციფიკა.

შესაძლოა ითქვას, ყოველივე ზემოაღნიშნული ასპექტი ნაშრომს საინტერესოს ხდის; კვლევაში მიმოხილული და გაანალიზებული ინფორმაცია საკმაოდ დიდი შენაძენი და სიახლეა ამ საკითხით დაინტერესებული ნებისმიერი სფეროს წარმომადგენელთათვის.

კვლევის მეთოდები

საკვლევ კითხვაზე ამომწურავი ინფორმაციის მისაღებად კვლევა წარიმართა თვისებრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით, რაც საკვანძო საკითხების სიღრმისეულად შესწავლის საშუალებას იძლეოდა. აღნიშნული განხორციელდა დედუქციური ანალიზის მეშვეობით, რაც გულისხმობს თეორიის საფუძველზე წინასწარი ჰიპოთეზის შემუშავებას და ანალიზისა

და კვლევის შედეგად ჰიპოთეზის უარყოფა-დადასტურებას. კვლევის ძირითადი მეთოდია შემთხვევის შესწავლა, თუმცა დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადების ოპერაციონალიზაციისა და გაზომვის მიზნით გამოყენებულია სხვადასხვა მასალები. უპირველეს ყოვლისა შესწავლილ იქნა და გაანალიზდა საკვლევ თემასთან დაკავშირებული ვალიდური და რელევანტური მასალები - წიგნები, სტატიები, პუბლიკაციები, სტატისტიკური მონაცემები და სხვა.

გარდა ზემოაღნიშნული ზოგადი მეთოდოლოგიური საფუძვლებისა, სადისერტაციო ნაშრომის თემატიკის კვლევის ასპექტში გამოყენებულია მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის ისეთი კონკრეტულ-მეთოდოლოგიური ტექნიკები, როგორიცაა:

- პირველადი წყაროების ანალიზი - უსაფრთხოების პოლიტიკასთან დაკავშირებული ოფიციალური დოკუმენტების კონტენტ ანალიზი;

- მეორეული წყაროების ანალიზი - სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც შესასწავლი საკითხის გარშემო არსებობს. იგულისხმება როგორც თეორიული სახის ლიტერატურა, ასევე კვლევები უშუალოდ რეგიონებთან დაკავშირებით.

ასევე, კვლევის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი - განხილულ იქნა არსებული თეორიული მასალები; ივენთ-ანალიზის მეშვეობით გამოტანილ იქნა შესაბამისი დასკვნები; ასევე, გამოყენებულ იქნა შემთხვევის გარჩევა, სიტუაციური ანალიზი, Case Study - რაც რეალური ფაქტების უკეთ გაანალიზებაში დაგვეხმარა. ხოლო ნაშრომში წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების დამუშავების შედეგად საფუძველი შეიქმნა მომზადებულიყო SWOT ანალიზი.

აღნიშნული ნაშრომი ძირითადად წარიმართა თვისებრივი კვლევის ერთ-ერთი მიდგომის, ჰერმენევტიკური ტექსტის ანალიზის მიხედვით, რაც გულისხმობს, რომ ეროვნული კონცეპტუალური უსაფრთხოებისა და

თავდაცვის დოკუმენტების წაკითხვის შემდეგ, ტექსტი გააანალიზდა მასალაში წარმოდგენილი თეორიების მსგავსებისა და მითითებების ძიებით.

კვლევის თეორიული საფუძვლები

თეორიულ და მეთოდოლოგიურ ნაწილში გამოყენებულია პოლიტიკური რეალიზმის საყოველთაოდ აღიარებული მიდგომები: ,,ძალთა ბალანსის" თეორია, „გეოსტრატეგიული ბალანსის" თეორია, „არშემდგარი ქვეყნის" თეორია და „რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსის" თეორია.

„ძალთა ბალანსის" თეორია - არის ერთ-ერთი უძველესი და უმთავრესი კონცეფცია საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში. იგი რეალიზმის სკოლის შემადგენელი ნაწილია და გამომდინარეობს საერთაშორისო ურთიერთობების ანარქიული სტრუქტურიდან. აღნიშნული თეორიის მიხედვით, რეალისტები საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის სხვადასხვა ეტაპების თავისებურებებს განმარტავენ. „ძალთა ბალანსის" თეორიის მიხედვით, იმის გამო, რომ საერთაშორისო სისტემის ბუნება ანარქიულია, ყოველი სახელმწიფო თვითგადარჩენისთვის და თვითდამკვიდრებისთვის იბრძვის.

„გეოსტრატეგიული ბალანსის" თეორია - გეოსტრატეგიული ბალანსის თეორია დაკავშირებულია გეოპოლიტიკის მეცნიერებასთან, რომელიც თავის მხრივ დაკავშირებულია ძალთა ბალანსის თეორიულ ასპექტებთან. გეოსტრატეგიული ბალანსის თეორია - ეს არის ცნება, სადაც ორი სამეცნიერო მიმართულება ისახება: პირველი ეს არის საერთაშორისო ურთიერთობების რეალიზმის სკოლა და მეორე, გეოპოლიტიკური აზროვნების მნიშვნელოვანი მხარეები. გარდა ამისა, გეოსტრატეგიულ

ბალანსს გააჩნია რამდენიმე დეფინიცია, რომელიც უკავშირდება მსოფლიო პროცესების უსაფრთხოების გაგებას.

„თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია - რომელიც უკავშირდება საერთაშორისო უსაფრთხოების ცნობილი ამერიკელი მკვლევრის რიჩარდ კოენის სახელს, რომელიც გვთავაზობს უსაფრთხოების ისეთ მოდელს, რომელიც პრაქტიკულად აღსრულებადი ხდება იდეალიზირებული ქვაკუთხედიდან.

„რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსის“ თეორია - რომლის ავტორების აზრით, რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსები ექსკლუზიურია და როდესაც გლობალური ძალები „ფარავენ“ შიდა რეგიონულ დინამიკას, არ ვლინდება რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსი.

„უსაფრთხოების დილემა“ - ეს არის ვითარება, როდესაც სახელმწიფოს მიერ საკუთარი უსაფრთხოების გაზრდის მიზნით განხორციელებული ქმედებები იწვევს სხვა სახელმწიფოების რეაქციას, რაც თავის მხრივ იწვევს თავდაპირველი სახელმწიფოს უსაფრთხოების შემცირებას და არა ზრდას. ურთიერთდამოკიდებულება ყველაზე მეტად უსაფრთხოებაზე ახდენს გავლენას, კერძოდ - სახელმწიფოების მიერ თავიანთი ტერიტორიების დასაცავად მიღებულ ზომებზე. სხვა საგარეო პოლიტიკური მიზნების მსგავსად, ერთი სახელმწიფოს უსაფრთხოება სხვა სახელმწიფოების ქცევაზეა დამოკიდებული. სწორედ ეს წარმოშობს უსაფრთხოების დილემას, რომლის წინაშეც ყოველი სახელმწიფო დგას: საკუთარი უსაფრთხოების დაცვის ან განმტკიცების მიზნით სახელმწიფომ შეიძლება იმგვარი ზომები მიიღოს, რომლებიც სხვა სახელმწიფოთა უსაფრთხოებას შეამცირებს. შედეგად, ამ სახელმწიფოებმა შეიძლება საპასუხო ზომებს მიმართონ, რომლებიც პირველი სახელმწიფოს ქმედებების გაუვნებელყოფას ემსახურება და შეიძლება მას საფრთხეც შეუქმნას.

„არშემდგარი სახელმწიფო“ - ეს არის ფორმალურად დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელიც წესრიგის, კანონიერებისა და მოსახლეობის ძირითადი საჭიროებების უზრუნველყოფის არარსებობით ხასიათდება. არშემდგარი ქვეყნების უმრავლესობა მეორე მსოფლიო და ცივი ომის შემდეგ წარმოიქმნა და მათ, როგორც წესი, ახასიათებს კომუნალური კონფლიქტი, ძალმომრეობა ეთნიკური ნაციონალიზმის ნიადაგზე, მილიტარიზმი და რეგიონული დაპირისპირება. ტერმინი ერთ–ერთმა პირველმა გამოიყენა რობერტ კაპლანმა. არშემდგარ სახელმწიფოებს სხვაგვარად კვაზისახელმწიფოებსაც უწოდებენ.

„ეროვნული უსაფრთხოების ჩიხი“ - უკავშირდება სახელმწიფოების მიერ სუვერენიტეტის დაკარგვის ტენდენციას. ეროვნული უსაფრთხოების ჩიხი წარმოადგენს ქვეყანაში პოლიტიკური მართვის ისეთ მდგომარეობას, რომლის შედეგადაც ის მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელსაც იღებს ესა თუ ის სახელმწიფო, უფრო მეტად ზრდის საფრთხეებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ნაშრომის თეორიული ღირებულება და პრაქტიკული მნიშვნელობა

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ზემოხსენებული კვლევის საშუალებით უკეთ გამოვლინდება იმ სექტორებში არსებული ვითარება, რასაც მოიცავს უსაფრთხოების სპექტრი. საგულისხმოა, რომ ამ სექტორების ურთიერთშედარებისა და ანალიზის საფუძველზე, საშუალება გვექნება ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შეფასებისა, რაც უკეთ წარმოაჩენს სამხრეთ კავკასიის რეგიონის საშინაო და საგარეო გამოწვევებს, უსაფრთხოების თვალსაზრისით.

გარდა ამისა, იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც დამხმარე მასალა შესაბამისი პროფილის დისციპლინების ათვისებისას. კერძოდ კი, ის

საინტერესო იქნება ნებისმიერი მეცნიერის, ანალიტიკოსისა თუ ორიენტალისტიკის სპეციალისტისთვის.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა:

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება ეროვნული უსაფრთხოების სტაბილურობის პირობების კვლევას. კერძოდ, სამხრეთ კავკასიის რეგიონის აქტორების მაგალითზე გაანალიზებულია ეროვნული უსაფრთხოების არსთა რაობა და უსაფრთხოების მოდელების მატრიცა. ნაშრომში გამოკვეთილია სამხრეთ კავკასიის რეგიონის აქტორების გავლენა ეროვნული უსაფრთხოების პირობების დამკვიდრებისადმი. ასევე, განსაზღვრულია სამხედრო ბალანსის პირობების მნიშვნელობა სამხრეთ კავკასიის რეგიონში ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის მექანიზმების შემუშავების მიმართ. გარდა ამისა, გამოკვეთილია რეგიონულ-გლობალური ბალანსი, რეგიონული უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებისადმი, რითაც საბოლოო ჯამში, შესწავლილია საერთაშორისო საზოგადოების როლი და მიდგომები სამხრეთ კავკასიის რეგიონში უსაფრთხოების სტაბილური პირობების განსასაზღვრად.

ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, 10 ქვეთავისა და დასკვნისაგან, ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია და დანართები.

შესავალში დასაბუთებულად განხილულია საკვლევის თემის აქტუალობა; გადმოცემულია კვლევის მიზანი, ამოცანები, კვლევის ობიექტი, საგანი, თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები; ჩამოყალიბებულია ნაშრომის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლე; ნაჩვენებია ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ინფორმაციული ბაზა.

პირველი თავი ეთმობა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის არსს, მისი განვითარების ისტორიასა და კლასიფიკაციას, სამხრეთ კავკასიის რეგიონის აქტორების მაგალითზე. წარმოჩენილია გეოეკონომიკისა და გეოპოლიტიკის გავლენა უსაფრთხოების აღქმასა და საგარეო პოლიტიკის მიმართულებების ფორმულირებაზე.

პირველი თავის პირველი ქვეთავში წარმოდგენილია კავკასიის რეგიონის იდენტობა. საუბარია კავკასიის ფიზიკურ-გეოგრაფიულ მახასიათებლებსა და ორთოგრაფიულ ერთეულებზე. ამავე თავში განსაზღვრულია კავკასიის ინტეგრირებულობის ისტორიული ეტაპები და რეგიონის გეოპოლიტიკური მახასიათებლები.

პირველი თავის მეორე ქვეთავში განხილულია ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის არსი და მისი განვითარების ისტორია. ამ ქვეთავში წარმოდგენილია ეროვნული უსაფრთოების კლასიფიკაცია, პოლიტიკური ანალიზის ფორმატში. საუბარია ამ ცნების გამოყენებასა და ეროვნული უსაფრთხოების გაგების პრობლემატიკის შესახებ. მიმოხილულია სექიურითიზაციის სპექტრი და პროცესი, ასევე კრიტიკული თეორიის მნიშვნელობა საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზის პროცესში.

პირველი თავის მესამე ქვეთავში საუბარია სამხრეთ კავკასიის რეგიონის გამოწვევებზე და ეროვნული უსაფრთხოების არსთა კლასიფიკაციაზე, სამხრეთ კავკასიის რეგიონის აქტორების - აზერბაიჯანი, საქართველოსა და სომხეთის მაგალითზე. ამავე თავში წარმოდგენილია ეროვნული უსაფრთხოების გეოპოლიტიკური პარადიგმა, გლობალიზაციის ეპოქაში - „რიჩარდ კოენის მოდელი“.

მეორე თავში აღწერილია სამხრეთ კავკასიის რეგიონი და საერთაშორისო ფაქტორების გავლენა ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავებაზე. აქ არის წარმოდგენილი კონკრეტული რეგიონის შემთხვევის გარჩევა (Case Study). ამ თავში ვეხებით ისეთ

მნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა სახელმწიფოს როლი სამოქალაქო საზოგადოებების ჩამოყალიბებაში და საბაზრო ურთიერთობებში.

მეორე თავის პირველი ქვეთავში საუბარია ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაზე გავლენისმომხდენ საერთაშორისო ფაქტორებზე. აღნიშნულ ქვეთავში განხილულია უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, საგარეო დახმარების საჭიროებამ, რამდენად გამოიწვია უსაფრთხოების ურთიერთქმედების ინტერნაციონალიზაცია და როგორ გაუხსნა გზა რეგიონული თანამშრომლობის შექმნას. ხოლო ფართო კონტექსტში, წარმოდგენილია პასუხი კითხვაზე, თუ როგორ შეიძლება გახდნენ რეგიონული აქტორები დესტაბილიზაციის მიზეზი, მაშინაც კი თუ მათ აქვთ სტაბილურობის დისკურსი.

მეორე თავის მეორე ქვეთავი ეთმობა სამხრეთ კავკასიის რეგიონის უსაფრთხოების გარემოსა და გეოპოლიტიკურ მახასიათებლებს. ნათელია, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონში თანამშრომლობისა და ინტეგრაციის არარსებობა, ასევე ხელშემწყობი ინსტრუმენტების დეფიციტი იწვევს დესტაბილიზაციის პოტენციალის ზრდას. აღსანიშნავია, რომ ქვეთავში წარმოდგენილია რეგიონში საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გატარებული ძალისხმევა და მათი როლი - საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორც თანამშრომლობას ემსახურებიან, ისე, რეგიონში არსებული უთანხმოების ინსტიტუციონალიზებას ახდენენ, რაც, საერთო ჯამში, სტაბილურობის შენარჩუნებით სრულდება.

მეორე თავის მესამე ქვეთავში წარმოდგენილია სამხრეთ კავკასიის რეგიონის შემთხვევის გარჩევა რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსის თეორიის მიხედვით. მოგეხსენებათ, ალიანსის ჩამოყალიბების შესახებ შექმნილი თეორიების უმეტესობა ხაზს უსვამს საფრთხეებს, როგორც ალიანსისა და კავშირების შექმნის ჩამოყალიბების ძირითად ფაქტორს. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ ქვეთავში გამოყენებულია რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსის თეორია, რომლისთვისაც რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსები ექსკლუზიურია. აღნიშნული თეორიის

მიხედვით, სამი ძირითადი ცვლადის კომბინაცია განაპირობებს განსხვავებულ და ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო ალიანსის ჩამოყალიბების პოლიტიკას. ეს ცვლადებია: „მტრობა და მეგობრობა“ სამხრეთ კავკასიაში, სახელმწიფოს „თანდაყოლილი სისუსტეები“ სამხრეთ კავკასიაში და „დიდი ძალაუფლების შეღწევა“ სამხრეთ კავკასიაში.

მესამე თავი ეთმობა სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების სტაბილურობის პირობების შედარებით ანალიზს. ნაშრომში წარმოდგენილი ინფორმაციისა და სტრატეგიული პოლიტიკური დოკუმენტების დამუშავების შედეგეგად SWOT ანალიზის ჩამოყალიბების საფუძველი შეიქმნა, რამაც ხელი შეუწყო ამჟამინდელი შესაძლებლობების, შეზღუდვებისა და არსებული გამოწვევების ნათელყოფას.

მესამე თავის პირველი ქვეთავში განხილულია სამხედრო ვითარება სამხრეთ კავკასიაში. აღნიშნულ ქვეთავში სამხედრო მახასიათებლების თვალსაჩინოებისთვის გამოყენებულია შედარებითი ანალიზი და გამოკვეთილია თითოეული ქვეყნის პრობლემები და შესაძლებლობები.

მესამე თავის მეორე ქვეთავში საუბარია დასავლეთის დახმარებაზე უსაფრთხოების საკითხებში სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებისადმი. აქ საუბარია იმ მრავალმხრივ დახმარებაზე, რასაც დასავლეთის ქვეყნები ახორციელებდნენ აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის მიმართ.

მესამე თავის მესამე ქვეთავი ეთმობა ნატოს პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ როლს სამხრეთ კავკასიაში. ამ ქვეთავში წარმოჩენილია თუ როგორ გახდა ნატო ეფექტური უსაფრთხოების თანამშრომლობის ინსტრუმენტი, სუსტ და გამოუცდელ თავდაცვის სტრუქტურების მიმართ.

მესამე თავის მეოთხე ქვეთავში წარმოდგენილია კავკასიის რეგიონის აქტორების ეროვნული უსაფრთხოების მოდელების მატრიცა, მისი პრინციპებისა და ეროვნული ინტერესების შედარებითი ანალიზი. აღნიშნულ ქვეთავში წარმოდგენილია ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შედარებითი ანალიზი, მათი სისუსტეები და უპირატესობები.

საერთო ჯამში, საშუალებას გვიტოვებს შევაფასოთ და საკუთარი დამოკიდებულება ჩამოვაყალიბოთ აღნიშნული კონცეფციების მიმართ.

დასკვნაში მოცემულია კვლევის ზოგადი შედეგები და რეკომენდაციები, რომლის გათვალისწინების შედეგად შესაძლებელი იქნება რეგიონული მასშტაბით უსაფრთხოების მიმართულებების განვითარება და ხელშეწყობა.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

ფართო გაგებით, უსაფრთხოება - ეს არის უმნიშვნელოვანესი ფასეულობების საფრთხეებისაგან დაცულობის მდგომარეობა. ხშირად, უსაფრთხოების განმარტებისას, აქცენტი სწორედ საშუალებების, ორგანიზაციულ ღონისძიებათა ინსტიტუტების, პარტნიორებთან შეთანხმებების და ა.შ. დაცულობის არსებობაზე კეთდება. თუმცა დაცულობის უზრუნველყოფის მთელი კომპლექსი საფრთხეების ხასიათითა და მასშტაბებით განისაზღვრება. ამდენად, ცნება „უშიშროება“ აერთიანებს განუყოფელ ტანდემს - საფრთხეებსა და მათგან დაცვას.

უსაფრთხოების გამოწვევები ემყარება კონტექსტურ ანალიზს, ამიტომ ისინი უნდა ასახავდნენ გამოყენებულ მიდგომას. აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში ეროვნული უსაფრთხოების შესახებ დისკუსია ძალზე აქტუალურია. ამას არამხოლოდ სამხრეთ კავკასიის რეგიონის აქტორების წინაშე არსებული გამოწვევები და რთული უსაფრთხოების გარემო, არამედ ამ სფეროში მაკოორდინირებელი და პოლიტიკის დაგეგმვაზე პასუხისმგებელი უწყებების გარშემო ბოლო წლებში განვითარებული მოვლენები განაპირობებს. აღნიშნული საკითხის შესწავლის შესახებ ქართულ სამეცნიერო რეალობაში მწირი მასალა გვხვდება, თუმცა ერთმნიშვნელოვნად აღსანიშნავია პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის ვ. მაისაიასა და ისტორიის მეცნიერებათა

დოქტორის ე. გვენეტაძის ნაშრომები, ასევე საინტერესოა მკვლევრის გიორგი ბილანიშვილის სტატიები.

- **მჭედლიშვილი ა., „ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის შექმნის პრინციპები“ სტრატეგიული კვლევები: საქართველოს უსაფრთხოება ცვალებად მსოფლიოში, თბილისი, 2009 წელი** - ა. მჭედლიშვილი ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის ფორმულირების პროცესზე საუბრისას აღნიშნავს, რომ ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია, შესაძლოა, გაგებულ იქნას, როგორც, ერის (სახელმწიფოს) პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალურ-ფსიქოლოგიური, ინფორმაციული და სამხედრო ძალაუფლების გამოყენების მეცნიერება და ხელოვნება, შეთანხმებული სახელმწიფო პოლიტიკასთან, რის შედეგადაც იქმნება პირობები ეროვნული ინტერესების დაცვისა და განვითარებისათვის სხვა ერებთან, აქტორებთან ან პირობებთან და ვითარებასთან მიმართებაში.
- **მაისაია ვ., „შავი ზღვის აუზის გეოსტრატეგიული ბალანსის პოლიტიკური ასპექტები“. ქართულევროპული ინსტიტუტი (პარიზი), კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი (თბილისი) - პარიზი, 2003 წელი** - საგულისხმოა, რომ იგი ყურადღებას ამახვილებს სახელმწიფოს ძირითადი ატრიბუციების განსაზღვრაზე, სადაც ეყრდნობა მაქს ვებერის მიერ გამოყენებულ განმარტებას, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოში იგულისხმება საზოგადოებრივი გაერთიანება, რომელიც ეფექტურად ფლობს ძალის ლეგიტიმური გამოყენების მონოპოლიას ტერიტორიული საზღვრების შიგნით.
- **გვენეტაძე ე., „საერთაშორისო უშიშროების ასპექტები“, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2017 წელი** - რაც შეეხება შემდეგ ქართველ მკვლევარს, ედიშერ გვენეტაძე საერთაშორისო უშიშროების დღევანდელ მდგომარეობაზე საუბრისას იყენებს ფორმულირებას „უშიშროება ცივი ომის დასრულების შემდეგ“, სადაც ზემოხსენებული ნარატივი ხაზს უსვამს უდავო ფაქტს, რომ ამჟამინდელი საერთაშორისო უშიშროების ახალი თვისებების გასაგებად საჭიროა დღევანდელი

მდგომარეობის გენეზისის კომპლექსური განხილვა, მასშტაბური და გრძელვადიანი პროცესების, საკვანძო პრობლემების, ძირითადი მოქმედი პირების ინტერესთა კონფლიქტისა და გადაკვეთის სფეროების, ერთობლიობაში მათ ხელთ არსებული რესურსებისა და ამ ფაქტორების ურთიერთდამოკიდებულების გააზრება.

- **ბილანიშვილი გ., „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა - პრობლემები და გამოწვევები", საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი (რონდელის ფონდი), თბილისი, 2019 წელი** - საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის (რონდელის ფონდი) მკვლევარი გიორგი ბილანიშვილი თავის სტატიაში „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა - პრობლემები და გამოწვევები" ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ნებისმიერი ქვეყნის წინაშე არსებული რისკების შემცირება ორ ძირითად კომპონენტს ემყარება. პირველი, ეს არის ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეების იდენტიფიცირება და შემდგომ, მათი პრევენციის მიზნით, შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება. მეორე კი, ქვეყნის მოწყვლადობის იდენტიფიცირება და მათი აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება. აქვე მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ საფრთხესა და მოწყვლადობას შორის არსებულ განსხვავებას. საფრთხე გარეგანი წარმოშობისაა და იგი ნებისმიერ შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს, რამდენად ეფექტიანიც არ უნდა იყოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა. შესაბამისად, უმეტესად საფრთხის პრევენციაა შესაძლებელი და არა მისი გაქრობა.

- **კაციტაძე კ., „სამხედრო საფრთხეთა შესახებ, რომლებიც შეიძლება დაემუქროს საქართველოს ეროვნულ ინტერესებს", სტრატეგიული კვლევები, თბილისი, 1999 წელი** - დღევანდელ მსოფლიოში, განსაკუთრებით საქართველოს მიმდებარე რეგიონებში, მიმდინარეობს ისეთი პროცესები, რომლებმაც ეროვნულ ინტერესებს შეიძლება არა მარტო კლასიკური პოლიტიკური მეცნიერებისათვის ცნობილი საფრთხე (როდესაც საფრთხე

ექმნება საერთაშორისო სამართალსუბიექტ სახელმწიფოს, რომელიც მთელ თავის ტერიტორიას აკონტროლებს) შეუქმნას, არამედ სრულიად ახალი არატრადიციული საფრთხეც. ეს ნებისმიერი სახელმწიფოს, მათ შორის საქართველოს უსაფრთხოების დაცვას კიდევ უფრო ართულებს.

- **ანთაძე გ., „სტრატეგიული კვლევები N2“ გამომცემლობა „საუნივესიტეტო წიგნი“ თბილისი, 2009 წელი** - ავტორი წარმოგვიდგენს ერთგვარ გზამკვლევს, სადაც დაწვრილებით გვაწვდის უსაფრთხოებისა და შესახებ არსებულ დეფინიციებს და მათ ანალიზს. ნაშრომში აღწერილია ავტორის მიერ ტერორიზმის ახლებური ხედვა, „ტერორიზმი“ როგორც იდეოლოგიური ომის ფორმა, ავტორს კარგად აქვს განხილული ის გარემოება რომ იდეოლოგიურ ომს ვერ შევეწინააღმდეგებით კონვენციური საბრძოლო მოქმედებებით და ამისათვის საჭიროა კომპლექსურ მოქმედებათა სისტემის ჩამოყალიბება.
- **მაისაია ვ., „კავკასიის როლი მშვიდობიან თანაარსებობაში: კავკასიის გეოსტრატა“, ავსტრიის რესპუბლიკის თავდაცვის ეროვნული აკადემია, ვენა, 2015 წელი** - ავტორი საუბრობს, რომ კავკასიის ზონაში ინტეგრაციულ პოლიტიკას აქვს თავისი ისტორია, რომელიც იყო ცენტრალური საყრდენი სხვადასხვა იმპერიული შემოსევებისთვის და შემდგომში ინტეგრირებული იყო დამპყრობელი სახელმწიფოების გეგმებში. ამდენად, გეოპოლიტიკური გარდამავალი პერიოდის განმავლობაშიც კი, კავკასია საერთაშორისო პოლიტიკაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რეგიონად იქცა. ავტორი „კავკასიის ინტეგრაციის“ მოდელს გვთავაზობს და მას ყოფს ექვს ეტაპად.
- **ისმაილოვი, ე., პაპავა, ვ. ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები. გამომცემლობა დიოგენე, თბილისი, 2007 წელი** - აღნიშნულ მასალაში გამოკვლეულია კავკასიის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები და თავის მხრივ გაანალიზებულია ძირითადი გეოპოლიტიკური ფუნქციები, გლობალიზაციის პირობებში. აქვე მოცემულია კავკასიის ეკონომიკური სივრცის ძირითადი მახასიათებლების შედარება, სადაც გამოკვეთილია ამ

თავისებურებების კავშირი ერთმანეთთან და საერთაშორისო პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ გაერთიანებებთან.

დისერტაციის სტრუქტურა:

წარმოდგენილი დისერტაცია შედგება შესავლის, სამი თავის, ათი ქვეთავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის სიისგან.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი:

შესავალში გადმოცემულია დისერტაციის საკვლევი თემის აქტუალობა, თემის დამუშავების მდგომარეობა, მეთოდოლოგია და თეორიული ჩარჩო, ჰიპოთეზა, საკვლევი კითხვები, თემის მიზნები და ამოცანები, კვლევის საგანი, თემის დამუშავების დროს გამოყენებული მეთოდები, ასევე, ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

თავი I: სამხრეთ კავკასიის რეგიონი, მისი იდენტობა და ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია (ქვეთავები: 1.1. კავკასიის რეგიონის იდენტობა. 1.2. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და მისი განვითარების ისტორია. 1.3. სამხრეთ კავკასიის რეგიონის გამოწვევები და ეროვნული უსაფრთხოების არსთა კლასიფიკაცია)

ნაშრომის აღნიშნულ თავში, შესწავლილი და გაანალიზებულია სამხრეთ კავკასიის რეგიონული აქტორების დაბალანსების საკითხი, რაც ჯერჯერობით შედარებით წარმატებულად მიმდინარეობს - თავს იჩენს სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების კომპლექსის კიდევ ერთ სტრუქტურულ ფაქტორად. შეერთებული შტატების ჩართვა ამ რეგიონში საეჭვოა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც აღნიშნული ირანისა და რუსეთის მხრიდან მიიჩნევა ახლად დამოუკიდებელი სახელმწიფოების ხელშეწყობად. მაშინაც კი, როდესაც „კავკასიის ლიდერები მჭიდრო ურთიერთობას ინარჩუნებენ შეერთებულ შტატებთან და თავიანთი სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობა და ეროვნული ლეგიტიმურობა ამ პარტნიორობას დაუთმეს“.

ამასთან, უნდა განვასხვავოთ ისიც, რომ გეოეკონომიკასა და გეოპოლიტიკას აქვს სხვადასხვა ხარისხის გავლენა უსაფრთხოების აღქმასა და საგარეო პოლიტიკის მიმართულებების ფორმულირებაზე. აზერბაიჯანი და საქართველო რეგიონში თავიანთ როლებს უფრო მეტად გეოეკონომიკური თვალსაზრისით აცნობიერებენ, რომ რეგიონში მათი

უსაფრთხოება რეგიონური ეკონომიკური თანამშრომლობითაა უზრუნველყოფილი. მთიან ყარაბაღთან დაკავშირებით, აზერბაიჯანთან არსებული საფრთხის აღქმისა და კონფლიქტის გათვალისწინებით, სომხეთი ცდილობდა თავის უსაფრთხოების რუსეთთან დაკავშირებას. ამრიგად, სომხეთის უსაფრთხოების აღქმა ძირითადად ემყარება რეგიონური პოლიტიკური და ეკონომიკური პირობების გეოპოლიტიკურ ინტერპრეტაციას.

აქედან გამომდინარე, სამხრეთ კავკასიის სამ ქვეყანას შორის არსებობს ისეთ საკითხებში თანამშრომლობის პოტენციალი, როგორებიცაა: ერთობლივი ძალისხმევის ჩადება საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ (1); ორგანიზებული დანაშაულისა და ნარკოტრაფიკის წინააღმდეგ ბრძოლა (2); ეკოლოგიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ერთობლივი ღონისძიებების შემუშავება (3). აღნიშნული ურთიერთობები გრძელვადიან პერსპექტივაში ხელს შეუწყობს სამმხრივ ეკონომიკურ თანამშრომლობას და პოლიტიკური დიალოგის გაღრმავებას.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ 2020 წლის დასასრულს თურქეთის პრეზიდენტმა, რეჯეფ თაიფ ერდოღანმა ბაქოში ვიზიტისას „ექვსეულის პლატფორმის“, იგივე „3+3“ რეგიონული თანამშრომლობის შექმნის ინიციატივა გააჟღერა, რაც როგორც მან აღნიშნა, სამხ. კავკასიის რეგიონის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი იქნება.

ირანისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია „ექვსეულის პლატფორმის“ პროექტი, რათა როგორც რბილი ძალით, ისე ეკონომიკური თუ გეოპოლიტიკური ამბიციებით აქტიურად შემოვიდეს სამხრეთკავკასიურ სახელმწიფოებში. ხოლო თურქეთისა და რუსეთისთვის „3+3“ პლატფორმა ერთ-ერთი შესაძლებლობაა, რომ შეინარჩუნოს და გაზარდოს გავლენა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზე. აზერბაიჯანისთვის კი მთავარია, რომ დიდი სახელმწიფოების მხარდაჭერა შეინარჩუნოს, რისთვისაც „3+3“ ფორმატს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება. ხოლო სომხეთისთვის მნიშვნელოვანია

დიდ მოთამაშეებთან ერთად პოსტკონფლიქტური მოლაპარაკებები. რაც შეეხება საქართველოს, აღნიშნულ ფორმატში საქართველოს მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებთან თანხვედრაში არ არის. ვინაიდან, საქართველომ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა ჯერ კიდევ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ გაწყვიტა, არათანმიმდევრულია მისი ჩართულობა პროექტში, რომლის ფარგლებშიც მას სტრატეგიულ საფრთხესთან (რუსეთთან) სტრატეგიულ ობიექტებზე საუბარი მოუწევს. მეორე მხრივ, პლატფორმა სარგებელს მოუტანს საქართველოს ინიციატივის წევრ ქვეყნებთან დამატებით ეკონომიკურ, ინფრასტრუქტურულ თუ პოლიტიკურ პროცესებში თანამშრომლობის გააქტიურების თვალსაზრისით. თუმცა, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ეს თანამშრომლობა მეტ დანაკარგს მოუტანს სახელმწიფოს, ვიდრე სარგებელს. ამასთან, თანმდევმა პროცესებმა შესაძლოა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს საქართველოს პროდასავლური კურსის საკითხი, ვინაიდან პლატფორმა აერთიანებს არალიბერალურ სახელმწიფოებს და ქვეყანაში შიდადემოკრატიული პროცესები ხარვეზებით მიმდინარეობს.

თავი II: სამხრეთ კავკასიის რეგიონი და საერთაშორისო ფაქტორების გავლენა ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავებაზე. (ქვეთავები: 2.1. ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაზე გავლენის მომხდენი საერთაშორისო ფაქტორები. 2.2. სამხრეთ კავკასიის რეგიონის უსაფრთხოების გარემო და გეოპოლიტიკური მახასიათებლები. 2.3. სამხრეთ კავკასიის რეგიონის შემთხვევის გარჩევა რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსის თეორიის მიხედვით)

მეორე თავში გამოკვეთილია ის გარემოება, რომ ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის ფორმულირების საერთაშორისო ფაქტორები სამხრეთ კავკასიის რეგიონის რეალობაში განსაკუთრებული თავისებურებებით გამოირჩევა. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სისტემის დრამატულმა ცვლილებებმა სამხრეთ კავკასიის ახლად დამოუკიდებელი სახელმწიფოები დიდი სახელმწიფოების გეოპოლიტიკური გათვლების წინაშე დააყენა. შესაძლოა ითქვას, რომ გეოპოლიტიკურ დონეზე, რეგიონული აქტორების ვალდებულებამ

შეიძლება შექმნას სტაბილურობის მომწოდებლების ან არასტაბილურობის ექსპლუატატორების დილემა.

საინტერესოა, რომ სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებისთვის ძალაუფლების მუდმივი ბალანსი და რეგიონული აქტორების განსხვავებული ინტერესები მათ ბერკეტებს აძლევდა საკუთარი ინტერესებისა და ამბიციების გაღრმავებაში. ეს, თავის მხრივ, კიდევ უფრო ამყარებს ურთიერთობების სირთულეს რეგიონში და ჩიხში შეჰყავს ყველა მონაწილე მხარე.

ამასთან, პასუხი გაეცა აღნიშნულ თავში წამოჭრილ კიდევ ერთ კითხვას, თუ რა ფაქტორებმა გახადა სამხრეთ კავკასიის რეგიონი დაუცველი გარე მანიპულირებისგან? ამ კითხვაზე პასუხს ორი ურთიერთდაკავშირებული სახე აქვს, რომელთაგან ერთი აყალიბებს არასტაბილურობის შინაგან ფესვებს, ხოლო მეორე - ავლენს რეგიონის მახასიათებლებს.

გარდა თანამედროვე სახელმწიფოებრიობის გამოუცდელობისა, სამხრეთ კავკასიაში სახელმწიფოს მშენებლობის პროცესმა კიდევ უფრო გააღრმავა მწვავე სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი, რასაც თან ახლავს ეთნიკური დაპირისპირება და კონფლიქტები. შეიძლება ითქვას, რომ სტაბილური სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების გარეშე, სამხრეთ კავკასიის ერებს გაუჭირდებათ ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევა. თანამედროვე სახელმწიფოებრიობაში დემოკრატიული საზოგადოების, აგრეთვე საბაზრო ეკონომიკის შექმნა მდგრადი სახელმწიფოების არსებობას მოითხოვს. გარდა ამისა, თავად სახელმწიფომ უნდა შეასრულოს გადამწყვეტი როლი სამოქალაქო საზოგადოებების ჩამოყალიბებაში და საბაზრო ურთიერთობების წარმართვაში, რაც ეკონომიკური რესტრუქტურიზაციისა და ტრანსფორმაციის საშუალებას იძლევა.

თავი III: სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების სტაბილურობის პირობების შედარებითი ანალიზი (SWOT ანალიზი). (ქვეთავები: 3.1. სამხედრო ვითარება სამხრეთ კავკასიაში. 3.2. დასავლეთის დახმარება

უსაფრთხოების საკითხებში სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებისადმი. 3.3. ნატოს პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ როლი სამხრეთ კავკასიაში. 3.4. კავკასიის რეგიონის აქტორების ეროვნული უსაფრთხოების მოდელების მატრიცა, მისი პრინციპებისა და ეროვნული ინტერესების შედარებითი ანალიზი)

მესამე თავში გაანალიზებულია, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონის სამივე სახელმწიფო ჩართულია საერთაშორისო დონეზე, ვალდებულებები, როგორც წესი, მცირეა და მხარს უჭერს რამდენიმე ელიტური ფორმირების აქტივებითა და პერსონალით, ძალების უმეტესობა კვლავ ებრძვის მზადყოფნის საკითხებს. სამივე სახელმწიფო იმყოფება რეფორმებისა და რესტრუქტურიზაციის პროგრამებში, რასთან დაკავშირებითაც ისინი დარწმუნებულნი არიან და იციან, რომ ეს ეფექტიანად დასრულდება. მაგრამ მათ ხშირად უჭირთ განსაზღვრონ სამომავლო ნაბიჯები და გადაწყვიტონ, თუ როგორ უნდა გააგრძელონ მოქმედება. ამ შესაბამისად, ისინი ეძებენ გარე ხელმძღვანელს/დამხმარეს, ასევე საზღვრებს გარეთ ეძებენ სამხედრო დახმარებას, რათა მოსალოდნელი ცვლილებების გატარებისას ყავდეთ მხარდამჭერი; რათა შეძლონ შექმნან გამოცდილი/პროფესიონალი პერსონალი და შემდგომ ხელი შეუწყონ მათ განვითარებას; დაბოლოს, რათა შეძლონ, მართონ მათი მომავალი ძალების დაგეგმვის ელემენტები და საბრძოლო აქტივები.

აზერბაიჯანს სჭირდება როგორც ძირითადი ტექნიკის მოდერნიზაცია, ასევე გადაიარაღების პროგრამა, მაგრამ ეს ნაკლებად სავარაუდოა, სანამ შეიარაღებული ძალები განაგრძობენ ძვირადღირებულ ძალისხმევას რესტრუქტურიზაციისა და რეფორმებისთვის. თავდაცვის სამინისტრო გააგრძელებს მოდერნიზაციის მცდელობებს, სადაც ეს შესაძლებელია, ისარგებლებს სამხედრო დახმარებისა და აღჭურვილობის გადაცემის პროგრამით ისეთი პარტნიორებისგან, როგორიცაა თურქეთი და აშშ. ფინანსურად, თავდაცვის სამინისტრო იმედოვნებს, რომ ქვეყნის ენერგორესურსების გაზრდილი წარმოება გააუმჯობესებს ეკონომიკას და დამატებით აქტივებს მოუტანს სამხედრო რეფორმებს. მიუხედავად ბოლო

წლების განმავლობაში თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის ზრდისა, ანგარიშებში ჩანს, რომ არც საკმარისი დაფინანსება იყო სამინისტროს მნიშვნელოვანი დავალიანების დასაფარად და არც მეორე ძირითადი პრობლემა მოგვარებულა, რაც დასაქმებულთა პირობების გაუმჯობესებას წარმოადგენდა.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ნატოს პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ გახდა ნატოს მთავარი მანქანა სამხრეთ კავკასიის რეგიონის სახელმწიფოებთან მისი თანამშრომლობისა და ჩართულობის დონის გასაღრმავებლად. მან წარმატებას მიაღწია ამ ასპარეზზე და სამივე სახელმწიფო ამჟამად ნატოსთან ერთად ერთ სამშვიდობო ოპერაციაში მაინც არის ჩართული. PfP ასევე წარმატებული იყო ამ სამხედროებისთვის ღირებული შესავალი დასავლურ ოპერაციულ პროცედურებში, ტექნიკასა და ტაქტიკაში და მისცა მათ უფრო ფართო წვდომა ალიანსის საზოგადოებასთან. მათი განვითარებადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, როგორც ჩანს, საჭიროა სტრატეგიული ცვლილება პროგრამის ბუნებაში ან ალიანსთან პარტნიორი სახელმწიფოების ურთიერთობაში.

დასკვნა

ჩემი კვლევის მიზანი იყო ეროვნული უსაფრთხოების სხვადასხვა სტრატეგიის შედარება და შესწავლა, სამხრეთ კავკასიის რეგიონის აქტორების მაგალითზე. აღსანიშნავია, რომ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავება საკმაოდ დიდ სიფრთხილეს მოითხოვს - ყურადღება უნდა მიექცეს მრავალ ფაქტორს, რათა მაქსიმალურად სწორად გაიწეროს და შემუშავდეს კონცეფცია, ყველა იმ ძირეული და ანგარიშგასაწევი ასპექტის გათვალისწინებით, რომელიც მის სისრულეს და შედეგიანობას უზრუნველყოფს. შეიძლება ითქვას, რომ მინიმუმამდე უნდა შემცირდეს პოტენციური შეცდომებისა და ხარვეზების ზღვარი.

ზემოხსენებული მიზნის მისაღწევად შემუშავებულ იქნა შემდეგი ამოცანები: ეროვნული უსაფრთხოების არსთა რაობის გამოყოფა და უსაფრთხოების მოდელების მატრიცის შესწავლა; სამხრეთ კავკასიის რეგიონის აქტორების გავლენის გამოკვეთა ეროვნული უსაფრთხოების პირობების დამკვიდრებისადმი; სამხედრო ბალანსის პირობების მნიშვნელობის განსაზღვრა სამხრეთ კავკასიის რეგიონში ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის მექანიზმების შემუშავების მიმართ; საერთაშორისო საზოგადოების როლის შესწავლა და მიდგომების კვლევა სამხრეთ კავკასიის რეგიონში უსაფრთხოების სტაბილური პირობების განსასაზღვრად და რეგიონულ-გლობალური გეოპოლიტიკური ბალანსის გამოკვეთა, რეგიონული უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებისადმი.

კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული აპრობირებული თვისებრივი კვლევის მეთოდები: არსებული თეორიული მასალის განხილვა, კონტენტ ანალიზი და ივენთ ანალიზის მეშვეობით დასკვნების გამოტანა. ასევე, შემთხვევის გარჩევა, სიტუაციური ანალიზი, Case Study - რეალური ფაქტების უკეთ გაანალიზებაში დაგვეხმარა. ხოლო სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი ინფორმაციისა და სტრატეგიული პოლიტიკური

დოკუმენტების დამუშავების შედეგეგად SWOT ანალიზის მომზადების საფუძველი შეიქმნა.

რეგიონულ დონეზე არსებული პოლიტიკური ლანდშაპტის წარმოსაჩენად, აღსაწერად და გასაანალიზებლად ნაშრომში დასმულ საკვლევ კითხვებს, ზემოთაღნიშნული მეთოდების დახმარებით, ფაქტების ერთმანეთთან დაკავშირებით და საკუთარი მოსაზრებების დახმარებით ამომწურავი პასუხები გაეცა:

- რა მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულება არსებობს ეროვნული უსაფრთხოების არსთა რაობისა და უსაფრთხოების მოდელების მატრიცას შორის?

იმასთან დაკავშირებით, რომ ეროვნული უსაფრთხოების დოკუმენტი საკმაოდ მნიშვნელოვანია, პოლიტიკოსები და მეცნიერები სხვადასხვა მოსაზრებებს აყალიბებენ. ზოგიერთი ამტკიცებს, რომ XXI საუკუნეში ასეთი დოკუმენტების წარმოება დროის ფუჭად კარგვაა, რადგან მსოფლიო ძალიან სწრაფად იცვლება შესაბამისი კონცეპტუალური ჩარჩოს შესაქმნელად; მათთვის დღეს წარმოდგენილი კონცეპტუალური დოკუმენტი შესაძლოა ხვალ მოძველდეს. სხვები მხარს უჭერენ რეგულარულ გადასინჯვას, რამდენადაც საუბარია ეროვნულ დონეზე მიმართულებების ინსტიტუციონალიზაციაზე, უწყებათაშორისი თანამშრომლობის გამარტივებაზე, ცვლილებების სტრატეგიაზე და სხვადასხვა შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებს შორის სინერგიის ჩამოყალიბებაზე. კავკასიის რეგიონის აქტორების ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია აერთიანებს ამა თუ იმ ფუნდამენტურად მნიშვნელოვან საკითხებს, იქნება ეს ამ აქტორთა ეროვნული ინტერესები, ფუნდამენტური ეროვნული ღირებულებები, ეროვნული უსაფრთხოების წინაშე მდგარი საფრთხეები, რისკები, გამოწვევები თუ ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები.

- რა როლი აქვს საერთაშორისო საზოგადოებას სამხრეთ კავკასიის რეგიონში უსაფრთხოების სტაბილური პირობების განსაზღვრის მხრივ?

აღინიშნა, რომ უსაფრთხოების დილემამ განაპირობა საერთაშორისო სისტემის ახალი განზომილების შექმნა. უსაფრთხოების ახალი დილემა არ იძლევა ასიმეტრიული საფრთხის პროგნოზირების შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, ეს სრულიად დაუცველს ხდის საერთაშორისო სისტემას არსებულ საფრთხეებთან მიმართებაში, რის შედეგადაც, საგრძნობლად იზრდება საერთაშორისო ორგანიზაციების როლი.

შედარებისთვის, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ერთ-ერთ დადებით მხარეს სწორედ უსაფრთხოების დილემა წარმოადგენს. დოკუმენტში ხაზგასმითაა ნახსენები რომ სახელმწიფოს უსაფრთხოება ვერ განმტკიცდება მეორე სახელმწიფოს შეზღუდვის ხარჯზე", რაც საქართველოს კონცეფციის მორიგი დადებითი მხარეა, რაც თუნდაც მისი მეზობელი ქვეყნებისგან განასხვავებს - როგორც აზერბაიჯანი, ისე რუსეთი, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, უარს ამბობენ საბრძოლო მოქმედებების შესახებ თავშეკავებაზე.

- სამხ. კავკასიის რეგიონის აქტორები რამდენად უწყობენ ხელს რეგიონული უსაფრთხოების პირობების სტაბილურობას?

ახლად შემუშავებული დოქტრინების ადაპტაციამ, აღჭურვილობის შესყიდვამ და დამხმარე კანონმდებლობამ საშუალება მისცა შეიარაღებულ ძალებს უფრო მჭიდროდ ეთანამშრომლათ ევროატლანტიკურ კოლეგებთან. პროფესიული სამხედრო განათლების სისტემა რეფორმებზე ორიენტირებული გახდა და იყენებს ნატოს სტანდარტების სასწავლო გეგმებსა და სწავლების მეთოდოლოგიას. ამან ასევე განაპირობა ეროვნული სტრატეგიის დოკუმენტების შემუშავება. საბოლოოდ, ოფიცერთა კორპუსისა და კონტრაქტით გაწვეული პერსონალის საერთო პროფესიონალიზმი გაიზარდა.

მიღებული შედეგების საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირველი ჰიპოთეზა - **სამხედრო ბალანსის პირობები განსაზღვრავს სამხრეთ**

კავკასიის რეგიონში ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის მექანიზმების შემუშავებას - დადასტურდა. ნათელია, რომ სამხრეთ კავკასიაში სამხედრო ვითარების თვალსაზრისით, სამივე სახელმწიფოს სამხედროები ამჟამად უპირისპირდებიან არაერთ მნიშვნელოვან პრობლემასა და გამოწვევას, რადგან ისინი მუშაობენ თავიანთი შეიარაღებული ძალების გასაძლიერებლად და სწრაფადგანვითარებადი ახალი უსაფრთხოების გარემოსთან შესაგუებლად, რომელიც ახლა მათ უნდა მართონ.

რაც შეეხება მეორე ჰიპოთეზას, რომ **რეგიონულ-გლობალური ბალანსი პირდაპირპროპორციულია რეგიონული უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებისადმი** - დადასტურებულია, რამდენადაც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები უსაფრთხოების საკითხებში სამხედრო დახმარებას რეგიონის მიღმა ეძებენ. თავდაპირველად, მთავარი მიმწოდებელი იყო რუსეთი, რადგან ის წარმოადგენდა კავშირს საბჭოთა არმიასთან, რომელიც ყველა მათგანმა იცოდა და რომლის აღჭურვილობა და სხვა აქტივები თითოეულმა მემკვიდრეობით მიიღო. ამას გარკვეული დრო დასჭირდა, მაგრამ დასავლელი სამხედროების ნაწილი უკვე შემოვიდა რეგიონში და სამხედრო დახმარებას უწევს მას. როგორც უკვე აღვნიშნე, აზერბაიჯანსა და ასევე, საქართველოს მთავარ მენტორობას უწევდნენ თურქი სამხედროები, სადაც აშშ უშუალოდ ჩაერთო 9/11-ის ტერაქტის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ სომხეთი ახლა ნომინალურ სამხედრო დახმარებას იღებს დასავლეთის ქვეყნებიდან, ის კვლავ მჭიდროდ არის დაკავშირებული რუსეთთან მისივე უსაფრთხოებისთვის. გასათვალისწინებელია, რომ დასავლური სამხედრო დახმარების ორმხრივი პროგრამები იძლევა პოზიტიურ წვლილს, თუმცა მეორე მხრივ ეს პროგრამები არცთუ ისე კარგად ახერხებს იმის უზრუნველყოფას, რომ მოერგოს დადგენილ, ეროვნული რეფორმების პროგრამას. სამხრეთ კავკასიის რეგიონის აქტორები, განსაკუთრებით აზერბაიჯანი და საქართველო, ეძებენ ნატოს და მის წევრ ქვეყნებს წვრთნებისა და ხელმძღვანელობისთვის. თუმცა, იქიდან

გამომდინარე, რომ სამივე ქვეყანა დამოკიდებულია საბჭოთა აღჭურვილობის მარაგებზე, რის გამოც მეტ-ნაკლებად მიბმული რჩებიან რუსეთთან, გარკვეული სახის დახმარებისა და მარაგებისთვის. რომელიმე ამ ქვეყნის ამჟამინდელი უუნარობა განახორციელოს ძირითადი ტექნიკის მოდერნიზაციის პროგრამა, უზრუნველყოფს რუსეთის მნიშვნელოვან როლს - უახლოეს მომავალში - მათი ძალების მზადყოფნისა და ოპერატიული შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად.

რაც შეეხება მესამე ჰიპოთეზას, რომ **სამხრეთ კავკასიის რეგიონის აქტორები ურთიერთდამოკიდებული არიან ეროვნული უსაფრთხოების პირობების დამკვიდრებისადმი** ნაწილობრივ უარყოფილია, რასაც სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შესწავლა და მათი ანალიზი ადასტურებს. საკითხის შესწავლის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში სათანადო ყურადღება არ ექცევა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებულ კონფლიქტს. კონცეფციაში ვხვდებით მხოლოდ შემდეგს - რომ საქართველოსთვის აღნიშნული კონფლიქტი გამოწვევას წარმოადგენს და ამ ქვეყნებს შორის შეიარაღებული დაპირისპირების განახლება შეასუსტებს სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოს უსაფრთხოებას და ამასთან, ხელს შეუწყობს რეგიონში რუსეთის ფედერეციის პოლიტიკური გავლენის ზრდას. აღნიშნული, კიდევ ერთი მტკიცებულებაა იმისა, რომ კონცეფციაში მხოლოდ ზოგადი სახითაა წარმოჩენილი პოტენციური საფრთხეები.

კვლევის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია რიგ შემთხვევებში პოლიტიკურად მიკერძოებულად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან მას იყენებენ ხოლმე ოპონენტის დასასუსტებლად და საკუთარი ძალის გასაძლიერებლად, დომინაციისათვის, რათა გამყარდეს ქვეყნის შიგნით საკუთარი პოლიტიკური პოზიციები. ამ შემთხვევაში, აღნიშნული ვერ გამოდგება ობიექტურ მასალად/გზამკვლევად, ვინაიდან ის ქვეყნის მმართველი ძალის ინტერესების გამტარებლად შეიძლება მოვიაზროთ.

საყურადღებოა შემდეგი საკითხიც, რომ ნაშრომში მოყვანილია ეროვნული უსაფრთხოების ჩიხის მნიშვნელობა. ეროვნული უსაფრთხოების ჩიხი პოლიტიკური მართვის ისეთ მდგომარეობას წარმოადგენს, როდესაც ამა თუ იმ სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მეტად ზრდის საფრთხეებს ქვეყნის შიგნით თუ მის გარეთ და შესაძლოა ითქვას, ამის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც გარდამავალ ეტაპზე იმყოფება. ამასთან, „გეოსტრატეგიული ბალანსის თეორია“ მკაფიოდ გვაჩვენებს სამხრეთ კავკასიის რეგიონის თავისებურებებს, რომელიც მას პოლიტიკური ტრანსფორმაციის პერიოდში ახასიათებს.

ამასთან, ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემა, ეს არის ეკონომიკური არასტაბილურობა, რომლის შესახებაც ასევე მცირე ინფორმაციას ვხვდებით ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში, სადაც მეტწილად ყურადღება გამახვილებულია საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება-გაფართოებაზე.

გასათვალისწინებელია, რომ რეგიონის არასტაბილური მდგომარეობა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკას პოტენციურ საფრთხეს უქმნის. სამხრეთ კავკასიაში მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გაღვივება ეროვნულ უსაფრთხოებას დიდ დარტყმას მიაყენებს როგორც ეკონომიკური, ისე ენერგეტიკის თვალსაზრისით. ასევე არსებობს იმის ალბათობა, რომ რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი ისევ გაღვივდეს და არ არის გამორიცხული ეს ომი გაცილებით დიდი ზიანის მომტანი გახდეს. გარდა ამისა, კონცეფციაში ზუსტად და მკაფიოდ არ არის გაწერილი სტრატეგიები და სამოქმედო გეგმა ჩრდილოეთ კავკასიასთან მიმართებაში. მართალია რეგიონის ეს ნაწილი შედარებით სტაბილურია, თუმცა მაინც იგრძნობა დაძაბულობა ეთნიკურ უმცირესობასა და რუსეთს შორის. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია საქართველომ ამ ეთნიკურ უმცირესობასთან დაამყაროს მეგობრული ურთიერთობა, თუმცა გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ეს ნაწილი რუსეთის ფედერაციის

შემადგენლობაში შედის. საქართველოს ხელისუფლების მხრიდან გადადგმული თითოეული ნაბიჯი ჩრდილოეთ კავკასიის ეთნიკური უმცირესობის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად რუსეთმა შეიძლება აღიქვას საფრთხედ და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები, რაც ქვეყნის უსაფრთხოების განადგურებისკენ გადადგმული დიდი ნაბიჯი იქნება.

ამასთან, ხაზი უნდა გაესვას კვლევის სიახლეებსაც. ნაშრომის კვლევის სიახლეებს წარმოადგენს შემდეგი: (1) შედარდა სამხრეთ კავკასიის რეგიონის ძირითად აქტორთა სტრატეგიები და გაკეთდა მათი სტრატეგიული ანალიზი; (2) გაანალიზებულ იქნა ეროვნული უსაფრთხოების თეორიული ჩარჩო პრაქტიკული გამოყენების კუთხით სამხრეთ კავკასიის რეგიონიული უსაფრთხოების აქტორების მაგალითზე; (3) აღნიშნულ ნაშრომში, ქართულ სამეცნიერო სივრცეში, პირველადაა გამოკვეთილი სამხრეთ კავკასიის რეგიონის სახელმწიფოების ეროვნული უსაფრთხოების გარემო და ეროვნული უსაფრთხოების არსთა კლასიფიკაცია; (4) ასევე წარმოჩენილია ეროვნული უსაფრთხოების ჩიხის რაობა და მისი პრაქტიკული კუთხით გამოყენება; (5) სიღრმისეულად არის გამოკვეთილი და გააანალიზებული სამხრეთ კავკასიის რეგიონში სტაბილურობისა და მშვიდობის მიღწევის მიდგომები რეგიონული აქტორების ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ფორმატში; (6) კვლევაში კარგად არის წარმოჩენილი რეგიონის აქტორების სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპები და ახსნილია მათი სახელმწიფოებრიობის თავისებურებების სპეციფიკა.

შეჯამებისთვის, კავკასიის რეგიონის აქტორების ეროვნული უსაფრთხოება ბევრი პრობლემის წინაშე დგას. თუნდაც ის, რომ მას არ აქვს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია; საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია კი - მოძველებულია, რაც ასევე მეტყველებს იმაზე, რომ სტრატეგიული დოკუმენტები არ პასუხობს თანამედროვეობაში არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებს.

რეკომენდაციის სახით შეგვიძლია ვთქვათ, საერთო ჯამში, ნაშრომის მიზანი და ამოცანაა, ხელი შეუწყოს, რეგიონული მასშტაბით უსაფრთხოების მიმართულებების განვითარებას, რასაც ნაშრომში წარმოჩენილი მეცნიერული ხედვა და ანალიზი ხელს შეუწყობს.

ინფორმაცია ნაშრომის აპრობაციის შესახებ

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში, დაცულ იქნა სამი კოლოქვიუმი და ერთი თემატური სემინარი.

სამი კოლოქვიუმი (თითოეული არის სადისერტაციო ნაშრომის ნაწილი)

1. კოლოქვიუმი N1 – „ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის არსი, მისი განვითარების ისტორია და კლასიფიკაცია, კავკასიის რეგიონის აქტორების მაგალითზე“;

2. კოლოქვიუმი N2 – „ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის ფორმულირების საერთაშორისო ფაქტორები და სამხრეთ კავკასიის რეგიონის რეალობა“;

3. კოლოქვიუმი N3 – „სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების სტაბილურობის პირობების შედარებითი ანალიზი“.

თემატური სემინარი (ეძღვნება დარგის/ქვედარგის აქტუალურ საკითხს და არ წარმოადგენს სადისერტაციო თემის ნაწილს)

1. „საერთაშორისო ტერორიზმი როგორც ასიმეტრიული სამხედრო საფრთხე“.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შინაარსი გამოქვეყნებულია შემდეგ პუბლიკაციებში:

1. „კავკასიის რეგიონის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის არსი და მისი კლასიფიკაცია“. რეფერირებადი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი ,,პოლიტო/LOGOS”. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, N4 გამოცემა, ნოემბერი, 2022 წელი.

2. „სამხ. კავკასიის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დინამიკის ანალიზი და გავლენა ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის საკითხში“. საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალი “ANTE PORTAS Security Studies”, No 1(16)/2021. (ინგლისურ ენაზე).

Caucasus International University

Faculty of Social Sciences

Doctoral Educational Program in Political Sciences

Right of Authorship

David Peikrishvili

Mechanisms for developing national security policy on the example of the actors of the South Caucasus

Abstract dissertation Presented for the degree of Doctor of Political Science

Tbilisi, 0141, Georgia

2023

Research Director:

Vakhtang Maisaia

Doctor of Political Science, Professor

Official reviewers:

Henri Kuprashvili

Doctor of Political Sciences

Professor of the Faculty of Law and International Relations of Georgian Technical University

Alika Guchua

Doctor of Political Sciences

CIU Associate professor,

Supervisor of CIU Undergraduate Program in International Relations;

Defense of the thesis will take place on May 1, 2023, 15:00 pm, In the Dissertation Council of the Caucasus International University Faculty of Social sciences.

Address: 0141, Chargali Str.CIU, Building 1, Room 305

Read the thesis is possible in the library of the Caucasus International University.

Secretary of the Dissertation Board

Petre Mamradze

Associate Professor of the Caucasus International University

Annotation

The thesis is dedicated to research on the stability conditions of national security. In particular, in the dissertation, the essence of national security and the matrix of security models are analyzed on the example of the actors of the South Caucasus region. The article highlights the influence of the conditions of the military balance in the region on the development of the national security policy of the (local) actors of the South Caucasus region. It is also determined how important the conditions of the military balance are for the development of mechanisms of the national security policy of the actors of the South Caucasus region. In addition, the article talks about the influence of the regional-global geopolitical balance on the formation of the regional security system, and the role and approaches of the international community, which are important for determining stable security conditions in the South Caucasus region, are studied.

The subject of the study was the security of the South Caucasus region. And the object of the research was the actors of the South Caucasus region and their national security strategy.

Within the framework of the research, proven qualitative research methods in international relations were used: discussion of existing theoretical material, content analysis and drawing conclusions through event analysis. Also, case analysis, and situational analysis. And as a result of processing the presented information and strategic political documents, a basis was created to prepare SWOT analysis.

It should be noted that, the work reviews the essence of the concept of national security, its development history and classification. The historical stages of the integration of the Caucasus and the geopolitical characteristics of the region are defined. The influence of geoeconomics and geopolitics on the perception of security and the formulation of foreign policy directions is presented.

On the example of the actors of the South Caucasus region, the paper examines the influence of international factors on the development of the national security strategy. A case study of a specific region is reviewed, according to the theory of the regional security complex. Also, a comparative analysis of the regional security stability

conditions of the South Caucasus is presented. The paper describes the matrix of national security models of the actors of the South Caucasus region, a comparative analysis of its principles and national interests. Here, a comparative analysis, of the weaknesses and advantages of the concept of national security is presented, which, in general, allows us to evaluate and form our attitude in relation to these concepts.

The final part of the paper combines the results and recommendations, which will allow the development and promotion of security directions on a regional scale.

In conclusion, it can be said that the goal of the study - the comparison of different national security strategies - has been achieved, as the national security environment of the main actors of the South Caucasus region has been identified within the framework of the study, and based on their classification, a strategic analysis has been presented.